



საქართველოს სტრატეგიისა და საერთაშორისო ურთიერთობათა კვლევის ფონდი
GEORGIAN FOUNDATION FOR STRATEGIC AND INTERNATIONAL STUDIES

24

ერაყის კრიზისი

გიორგი გვიმრაძე



ექსპერტის აზრი

2014



საქართველოს სტრატეგიისა და საერთაშორისო ურთიერთობათა კვლევის ფონდი
GEORGIAN FOUNDATION FOR STRATEGIC AND INTERNATIONAL STUDIES

ექსპერტის აზრი

გიორგი გვიმრაძე

ერაყის კრიზისი

24

2014



პუბლიკაცია დაიბეჭდა ამერიკის შეერთებული შტატების საელჩოს ფინანსური მხარდაჭერით.

რედაქტორი: რუსუდან მარგიშვილი
ტექნიკური რედაქტორი: არტემ მელიქ-ნუბაროვი

საავტორო უფლებები დაცულია და ეკუთვნის საქართველოს სტრატეგიისა და საერთაშორისო ურთიერთობების კვლევის ფონდს. წერილობითი ნებართვის გარეშე წიგნის არც ერთი ნაწილი არ შეიძლება გადაიბეჭდოს ნებისმიერი, მათ შორის, ელექტრონული ან მექანიკური ფორმით.

© საქართველოს სტრატეგიისა და საერთაშორისო ურთიერთობათა კვლევის ფონდი 2014 წელი

ISSN 1512-4835

ISBN 978-9941-0-6886-7

2014 წლის ივნისის დასაწყისში ერაყის კრიზისი ახალ ფაზაში შევიდა. არსებული მდგომარეობა შეფასდა, როგორც ერაყის არსებობისათვის ყველაზე დიდი საფრთხე მას შედეგ, რაც მან 1932 წელს დამოუკიდებლობა მოიპოვა. ერაყისა და ალ-შამის (ძირითადად თანამედროვე სირია) ისლამურმა სახელმწიფომ (ამგვარი სახელწოდებით არის ცნობილი რადიკალური სუნიტური ტერორისტული დაჯგუფება) მოახერხა საკუთარი კონტროლი დაემყარებინა ქვეყნის ჩრდილო-დასავლეთით, საკმაოდ დიდ ფართობზე და იგი აკონტროლებს ერაყის სიდიდით მეორე ქალაქსაც – მოსულს. მათი შეტევის შემდეგ დაახლოებით ხუთასი ათასი ადამიანი გახდა იძულებული დაეტოვებინა ქალაქი. ხსენებული რადიკალური ჯგუფი ასევე აკონტროლებს საკამოდ ვრცელ ტერიტორიას სირიის ჩრდილო-აღმოსავლეთში, ერაყის საზღვრის გასწვრივ. ივლისის დასაწყისში ორგანიზაციამ განაცხადა სირია-ერაყის საზღვრის გაუქმების შესახებ, საკუთარი თავი ისლამურ სახელმწიფოდ, სახალიფოდ, ხოლო მისი ლიდერი ამ სახელმწიფოს ხალიფად დაასახელა. გაეროს მონაცემებით, ივნისის თვეში მსხვერპლის რაოდენობამ მიაღწია 2500 ადამიანს, საიდანაც დაახლოებით 1500 სამოქალაქო პირია.

ვითარებას ართულებს ისიც, რომ ერაყის პარლამენტი, რომელიც აპრილში ჩატარებული საპარლამენტო არჩევნების შემდეგ პირველად 1 ივლისს შეიკრიბა, დგას აუცილებლობის წინაშე – მოახერხოს ახლი მთავრობის ფორმირება. პროცედურის მიხედვით, მან უნდა აირჩიოს პარლამენტის თავმჯდომარე, შემდეგ – პრეზიდენტი და ბოლოს – პრემიერ-მინისტრი ახალი მინისტრთა კაბინეტით. შეთანხმებისამებრ, ეს სამი მთავარი თანამდებობა გადანაწილებულია შემდეგნაირად: პარლამენტის თავმჯდომარე — სუნიტი, პრეზიდენტი — ქურთული ეთნიკური ჯგუფის წრმომადგენელი და პრემიერ-მინისტრი — შიიტი. პოლიტიკური ოპონენტები ჯერ კიდევ ვერ ახერხებენ შეთანხმებას კანდიდატებთან დაკავშირებით. სუნიტები და ქურთები კატეგორიულად ეწინააღმდეგებიან მოქმედი პრემიერ-მინისტრის – ნური ალ-მალექის ხელისუფლებაში დარჩენას. თავის მხრივ, ეს უკანასკნელი აპირებს პოსტის შენარჩუნებას უკვე მესამე ვადით და ასევე უარყოფს კოალიციური მთავრობის შექმნის იდეას, რისკენაც მას მოუწოდებენ დასავლელი პარტნიორები, განსაკუთრებით – ამერიკის შეერთებული შტატები.

ერაყის წინააღმდეგობრივი რელიგიურ-ეთნიკური სურათი

ერაყი, თავის მხრივ, არ გამოირჩევა განსაკუთრებული რელიგიურ-ეთნიკური სიჭრელით ახლო აღმოსავლეთში. მისი მოსახლეობის საკმაოდ დიდი ნაწილი, დაახლოებით 80 პროცენტი, ეთნიკური არაბია, დაახლოებით 15 პროცენტს შეადგენენ ქურთები, ხოლო დანარჩენი ნაწილი არის თურქული, სომხური, ებრაული, ჩერქეზული და სხვა მცირერიცხოვანი ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელი. ქვეყნის რელიგიურ უმრავლესობა შიიტები არიან, რომლებიც მოსახლეობის დაახლოებით 60 პროცენტს შეადგენენ. მეორე დიდი ჯგუფი ერაყში სუნიტური თემია, რომელსაც განეკუთვნება მოსახლეობის დაახლოებით 30-35 პროცენტი. დანარჩენი ნაწილი არის იეზიდები, იუდეველი, ქრისტიანი და სხვ.

აღსანიშნავია, რომ ერაყი წარმოადგენს შიიტებსა და სუნიტებს შორის არსებული ისტორიული დაპირისპირების ერთ-ერთ უმთავრეს არეალს. ასევე ისტორიულად რთულია ეთნიკური უმრავლესობის ურთიერთობა ქურთულ ეთნიკურ ჯგუფთან. ეს უკანასკნელი 1991 წლიდან აშშ-ის პროტექტორატის ქვეშ ფართო ავტონომიით სარგებლობს, ჰყავს საკუთარი არმია და აწარმოებს დამოუკიდებელ საგარეო ვაჭრობას, მათ შორის, უპირველეს ყოვლისა, ენერგორესურსების სფეროში.

ხსენებული ისტორიული დაპირისპირებების უკიდურესად გამწვავებულ ფორმას წარმოადგენს დღევანდელი კრიზისი, რომლის უკანასკნელი ფაზაც ჯერ კიდევ სადამ ჰუსეინის მმართველობის დროს დაიწყო, როცა ამ უკანასკნელმა საკუთარი, ე.წ. სუნიტურ-სეკულარული პოლიტიკური ძალის სასარგებლოდ ძალადობრივი ფორმით, მთლიანად ჩამოაშორა პოლიტიკურ ცხოვრებას შიიტური უმრავლესობა და ქურთული ეთნიკური უმცირესობა, რომელთა ინტერესებიც, ყველაფრის შედეგად, სრულიად უგულვებელყოფილი იყო.

არსებული კრიზისის გამომწვევი მიზეზები

როგორც უკვე აღინიშნა, ერაყის დღევანდელი კრიზისის უმთავრესი საფუძველი შიიტებსა და სუნიტებს შორის ისტორიული დაპირისპირებაა, თუმცა ჩვენს ამოცანას არ წარმოადგენს ამ კონფლიქტის ისტორიული ნიაღვრელების განხილვა. ჩვენთვის საინტერესოა იმ ფაქტორების წარმოჩენა, რომლებმაც ბოლო ათწლეუ-

ლის მანძილზე ხელი შეუწყო უკანასკნელი მწვავე ფაზის განვითარებას იმ ფორმით და იმ შემდგენლობით, როგორც ეს ივნისში დაინყო.

უმთავრესად სახელდება აშშ-ის 2003 წელს დაწყებული სახმელეთო ოპერაცია, რომლის შედეგადაც სადამ ჰუსეინი ჩამოაშორეს ხელისუფლებას და საბოლოოდ სიკვდილით დასაჯეს. ამერიკელთა ინტერვენციის შემდეგ პოლიტიკური სურათი ერაყში დიამეტრულად შეიცვალა დისკრიმინაციის ობიექტის თვალსაზრისით. თუ მანამდე ეს იყო სუნიტთა დიქტატურა, ახლა ხელისუფლებაში მოვიდნენ შიიტები, რომელთა მმართველობის ფორმა დიდად არ განსხვავდებოდა წინამორბედი მთავრობისაგან და ახალი ხელისუფლების პირობებში პოლიტიკურ დევნას და შევიწროებას ახლა უკვე სუნიტები განიცდიდნენ. მეტიც, სადამ ჰუსეინი სიკვდილით დასაჯეს 2006 წლის 30 დეკემბერს, იმ დღეს, როდესაც სუნიტები აღნიშნავდნენ ეიდ ალ-მადჰის (მსხვერპლშენიშვის დღესასწაული) დღესასწაულის დანყებას, რომელიც ასევე ცნობილია ყურბან ბაირამის სახელით. შესაბამისად, სიკვდილით დასჯის ფაქტი ამერიკელებმა ნახალისებულ შიიტურ შურისძიებად აღიქვეს, რომელიც ქილიკის ელემენტებს ატარებდა.

თავის მხრივ, უალრესად მნიშვნელოვანია, რომ ამერიკელებმა ვერ მოახერხეს ერაყის კამპანიის წამოწყების მიზეზის გამყარება. სადამის მთავრობას არ აღმოაჩნდა ე.წ. მასობრივი განადგურების იარაღი. ასევე ცხადი გახდა, რომ ბუმის ადმინისტრაციას არ ჰქონდა მოქმედების გრძელვადიანი სტრატეგია, რომლის შესაბამისადაც მოხდებოდა სადამის მთავრობის ჩანაცვლება ერაყელთათვის მისაღები იმ პოლიტიკური ძალით, რომელიც არ მოახდენდა ძალაუფლების უზურპაციას ერთი კონკრეტული რელიგიური ჯგუფის მიერ და რის საფუძველზეც მოხერხდებოდა ეფექტიანი და, რაც მთავარია, შესაბამისად ავტორიტეტული სახელმწიფო ინსტიტუტების ჩამოყალიბება. ეს აუცილებელი იყო, რომ არ დარჩენილიყო სივრცე არაფორმალური გასამხედროებული რელიგიური ინსტიტუტებისათვის მოსახლეობის ნდობის მოსაპოვებლად და რომ ბოლოსდაბოლოს ჩამოყალიბებულიყო ერთიანი ერაყული სახელმწიფო.

ამერიკელთა ერაყიდან გამოსვლაც ასევე შეცდომად ითვლება, იმ ფაქტორის გათვალისწინებით, რომ უსაფრთხოების უზრუნველყოფა დაეკისრა ერაყის არაეფექტიან არმიას, რომელიც ამერიკული შეიარაღების გარდა არმიის სხვა ნიშანს არ ატარებს.

აღინიშნება, რომ მიუხედავად ამერიკელთა სურვილისა, სამხედროების გარკვეული ჯგუფი დარჩენილიყო ერაყში ადგილობრივთა დასახმარებლად, ვერ მოხერხდა ამ საკითხის ერაყის ხელისუფლებასთან შეთანხმება, რის შემდეგაც 2011 წელს ამერიკელებმა დატოვეს ტერიტორია.

მნიშვნელოვან ფაქტორს წარმოადგენს ერაყის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა. მეტიც, ცალკეული ანალიტიკოსები სოციალურ პრობლემებს უკავშირებენ საზოგადოების გარკვეული ფენების რადიკალიზაციას. ენერგორესურსებით სიმდიდრის მიუხედავად, კორუფციის დონე და რესურსებზე წვდომის ექსკლუზიურობა განაპირობებს, რომ მოსახლეობის საკმაოდ დიდი ნაწილი სიღარიბის ზღვარს ქვემოთ ცხოვრობს.

ბუნებრივია, მნიშვნელოვანია ასევე რეგიონული კონტექსტი. როგორც უკვე ვთქვით, ერაყი არის სუნიტთა და შიიტთა დაპირისპირების ერთ-ერთი უმთავრესი ფრონტი. სადამის დამხობამ რეგიონში შიიტების პოზიციები გაამყარა, რა თქმა უნდა, პირველ რიგში, ირანისა, რაც ბუნებრივია იწვევს საუდის არაბეთის გაღიზიანებას. ბევრს საუბრობენ იმაზე, რომ, სულ მცირე, ცალკეული პირები არაბული ქვეყნებიდან მატერიალურ დახმარებას უგზავნიან რადიკალურ დაჯგუფებებს. ასევე მნიშვნელოვანია სირიის კონფლიქტი, რომლის გაჭიანურებამაც საშუალება მისცა ალ-ყაიდასთან აფილირებულ ჯგუფებს ჩაბმულიყვნენ არსებულ დაპირისპირებაში და სერიოზული გავლენაც მოეხდინათ მის მიმდინარეობაზე. მათ შორის ერთ-ერთი იყო ე.წ. ისლამური სახელმწიფო. აღინიშნება, რომ მსგავსი ჯგუფების გაძლიერებას თავის მხრივ ხელი შეუწყო ბაშარ ასადის ხელისუფლებამაც. მან ციხიდანაც კი გაათავისუფლა გარკვეული პირები, რომლებიც დაკავშირებული იყვნენ ალ-ყაიდასთან. მსგავსი ქმედებით ასადმა მოახერხა ოპოზიციის მარგინალიზაცია და ასევე ერთმანეთს დაუპირისპირა საკუთარი რადიკალური და ე.წ. განონასწორებელი ოპონენტები. შედეგად, დასავლეთი დადგა დილემის წინაშე – ხელისუფლებაში რადიკალური ტერორისტული ჯგუფების მოსვლის ალტერნატივა იყო ბაშარ ასადის გარკვეული დროით შენარჩუნება. საბოლოოდ, როგორც უკვე ვთქვით, სირიის კონფლიქტის გახანგრძლივებამ ხელი შეუწყო მემამოხე ჯგუფების გაძლიერებას, როგორც ადამიანური რესურსით, ისე მატერიალურ-ტექნიკური საშუალებებით.

უნდა აღინიშნოს კიდევ ერთი კომპონენტი – თავად ამ სივრცის საკრალური მნიშვნელობა. ისლამური არანერვილობითი

ტრადიციით, შამი (არაბ. ჩრდილოეთი), ანუ მექასა და მედინას ჩრდილოეთით მდებარე სივრცე, იგივე ლევანტი, პალესტინისა და თანამედროვე სირიის ტერიტორია, ითვლება იმ წმინდა მიწად, სადაც მეორედ უნდა მოვიდეს ალაჰის უდიდესი მოციქული ისა და სადაც ამ დროისათვის თავი უნდა მოიყაროს ყველა მუსლიმმა. ეს საკითხი სხვადასხვა რეგიონში მოქმედი რადიკალური დაჯგუფებებისთვის სირიაში ბრძოლის სანარმოებელ ერთ-ერთ მნიშვნელოვან კომპონენტად განიხილება. აღსანიშნავია, რომ ალ-შამი ასევე ერაცსაც მოიცავს.

„ისლამური სახელმწიფო“ და ერაყის ამბოხებულთა მოძრაობა

2014 წლის ივნისში დაწყებული კრიზისის მთავარი მონაწილე არის სუნიტური რადიკალური მოძრაობა ე.წ. ერაყისა და ალ-შამის ისლამური სახელმწიფო. კრიზისის დაწყების დაახლოებით ერთი თვის თავზე ორგანიზაციამ განაცხადა სახალიფოს შექმნის შესახებ და ამის შემდეგ საკუთარ თავს მოკლედ „ისლამურ სახელმწიფოდ“ მოიხსენიებს, ხოლო, როგორც უკვე ვთქვით, საკუთარ ლიდერს, აბუ ბაქრ ალ-ბაღდადის, ხალიფ იბრაჰიმს უწოდებს. 5 ივლისს გამოქვეყნდა ვიდეო, სადაც ეს უკანასკნელი მიმართავს მუსლიმებს, ყველა ქვეყანაში მორჩილება გამოუცხადონ ახლად არჩეულ ხალიფას და სახალიფოს განსამტკიცებლად და გასაფართოებლად ებრძოლონ ურწმუნოებსა და მოღალატეებს. განსაკუთრებით კი ბრძოლა უნდა გაძლიერდეს წმინდა რამადანის თვეში, რომელიც 28 ივნისს დაიწყო.

ხსენებული ორგანიზაცია უკვე შეფასდა, როგორც რეგიონში ყველაზე გავლენიანი, კარგად ორგანიზებული, კარგად დაფინანსებული და კარგად შეიარაღებული. აღინიშნება, რომ ორგანიზაცია გამოირჩევა ბრძოლისა და მოწინააღმდეგესთან მოპყრობის სასტიკი მეთოდებით.

ხსენებულ ორგანიზაციას საფუძველი ჩაეყარა 2003 წელს, როდესაც დაიწყო ამბოხებულთა მოძრაობა ამერიკელებისა და შიიტური ხელისუფლების წინააღმდეგ, სადამ ჰუსეინის რეჟიმის ცვლილების შემდეგ. თავდაპირველად მას ეწოდებოდა ტაუხიდისა და ჯიჰადის დაჯგუფება და ხელმძღვანელობდა წარმოშობით იორდანელი აბუ მუსაბ ალ-ზარქავი, რომელიც მალევე გახდა აშშ-ის „ნომერ პირველი მტერი“. 2004 წელს ორგანიზაციამ საკუთარი თავი დაუკავშირა ალ-ყაიდას და მას შემდეგ მას „ალ-ყაიდა ერაყში“

ენოდა. 2006 წელს, მისი სიკვდილის შემდეგ, ორგანიზაციას ეწოდა „ერაყის ისლამური სახელმწიფო“, ლიდერი კი გახდა აბუ უმარ ალ-ბაღდადი. მისი სიკვდილის შემდეგ, 2010 წელს, ჯგუფის ლიდერი გახდა აბუ ბაქრ ალ-ბაღდადი, რომელსაც ჯგუფის წევრები დღეისათვის ხალიფად მოიხსენიებენ. მისი ლიდერობის დროს ორგანიზაციამ განაცხადა საკუთარი საერთაშორისო პრეტენზიების შესახებ, მიუხედავად იმისა, რომ მისი ავტორიტეტი თავდაპირველად დამყარებული იყო მის ერაყულ წარმომავლობაზე, მისი წინამორბედებისაგან განსხვავებით, რომლებმაც ე.წ. უცხოტომელობის გამო ვერ მოახერხეს მსგავსი ნდობის მოპოვება ამბოხებულთა შორის, რაც ორგანიზაციის ავტორიტეტზეც აისახებოდა.

2011 წელს ორგანიზაცია ჩაერთო სირიის კონფლიქტში, მიიღო რა მონაწილეობა სირიული რადიკალური ჯგუფის, ალ-ნუსრას, ფრონტის ჩამოყალიბებაში. როგორც ასახელებენ ფრონტის ლიდერი აბუ მუჰამად ალ-ჯულანი სწორედ ალ-ბაღდადში გაგზავნა სირიაში. მოგვიანებით მათ შორის განხეთქილება მოხდა. ალ-ნუსრა დარჩა ალ-ყაიდასთან აფილირებულ ჯგუფად, ხოლო ალ-ბაღდადის დაჯგუფება კი ღიად დაუპირისპირდა აიმან ალ-ზავაჰირის, ალ-ყაიდას ლიდერს. ამჟამად ნუსრას ფრონტი საკმაოდ შევიწროებულია და სირიაში ამბოხებულთა ტერიტორიაზე ვითარებას ერაყული ჯგუფი აკონტროლებს.

ის, როგორც უკვე ვთქვით, საკამოდ კარგად არის შეიარაღებული. მეტიც, ორგანიზაციამ ივნისის ბოლოს სირიის ქალაქ რაქში გამართა ე.წ. სამხედრო აღლუმი, სადაც გამოიყვანა საკუთარი მძიმე ტექნიკა, რომელიც სამთავრობო ძალებთან ბრძოლის შედეგად მოიპოვა. როგორც ცნობილია, მოსულის და ტიკრიტის ალებისას ერაყის სახელმწიფო სამხედრო ფორმირებებმა მიატოვეს სამხედრო ტექნიკაც და იარაღიც. ერაყის ხელისუფლებამ უკვე დაადასტურა, რომ ჯგუფი აკონტროლებს ერაყის ქიმიური იარაღის ყოფილ ბაზას, სადაც გასანადგურებლად იყო გამზადებული ზარინით დატვირთული ასეულობით ქობინა. მიუხედავად იმისა, რომ ამერიკელი და ერაყელი სპეციალისტები, ნივთიერებისა და იარაღის კონდიციიდან გამომდინარე, გამორიცხავენ ხსენებული ქიმიური იარაღის გამოყენების შესაძლებლობას, შემდგომი დაკვირვებისა და შემოწოების საგანს წარმოადგენს ის ფაქტი, რომ ამბოხებულებმა ბაზიდან გაიტანეს გარკვეული ტექნიკური აღჭურვილობა.

სპეციალისტები ამბობენ, რომ „ისლამურ სახელმწიფოს“ აქვს ყველა მსგავს ორგანიზაციაზე უკეთესი ფინანსური სისტე-

მა, დანესებული აქვს გადასახადები საკუთარ კონტროლირებად ტერიტორიაზე, ერაყსა და სირიაში ნავთობმომპოვებელ ქარხნებს აკონტროლებს და მისი შემოსავლის გარკვეულ ნაწილს წარმოადგენს ადამიანთა გატაცების სანაცვლოდ მიღებული გამოსასყიდები. გარკვეული ინფორმაციით, მოსულის ალებისას ორგანიზაციამ ქალაქში არსებული ბანკებიდან დაახლოებით ნახევარი მილიარდი დოლარის მითვისება მოახერხა. საუბრობენ ასევე შემონირულობებზე სპარსეთის ყურის სუნიტური სახელმწიფოებიდან, თუმცა, როგორც ექსპერტები ამბობენ, ეს ორგანიზაციის შემოსავლების 5 პროცენტზე მეტს არ შეადგენს. ზოგადად, არაოფიციალური ინფორმაციით, მათი აქტივები 2 მილიარდ ამერიკულ დოლარს აჭარბებს.

ბუნებრივია, ზედმეტია საუბარი ორგანიზებულობასა და შინაგან სიმტკიცეზე. მათ საკმაოდ მოკლე ხანში მოახერხეს საკმაოდ ვრცელ ტერიტორიას დაუფლებოდნენ ერაყსა და სირიაში. მათი კონტროლი იმდენად მტკიცეა, რომ ალ-ბაღდადი არ ერიდება მეჩეთში მისვლას და ღმრთისმსახურების გამართვას. ის სრულიად მოულოდნელად გახდა საჯარო პირი. მისი მიმართვა არ ჰგავდა ამბოხებულთა ლიდერის ჩვეულ გამოსვლას კონსპირაციული სივრციდან, პირიქით, მან მუსლიმებს სრულიად კონკრეტული ადგილიდან, ქალაქ მოსულის ჯამედან მიმართა, რაც მნიშვნელოვანი იყო იმის დასაფიქსირებლად, რომ ის ხალიფაა და არა უბრალოდ მებრძოლთა ლიდერი. ის არის პოლიტიკური და რელიგიური ლიდერიც, რომელსაც შეუძლია ღმრთისმსახურების ჩატარებაც. სახალიფოს გამოცხადება ასევე ნიშნავდა გარკვეულწილად დაპირისპირებას ყველა სხვა ისლამურ რადიკალურ და არარადიკალურ გაერთიანებასთან. ალ-ბაღდადიმ მოუწოდა ყველა მუსლიმს დაემორჩილოს მას. როგორც ხალიფას და, ასევე, როგორც პოლიტიკოსს შეეფერება, ითხოვა გააკრიტიკონ და რჩევა არ დაიშურონ იმ შემთხვევაში, თუ რაიმე შეეშლება. ორგანიზაცია საკუთარი საქმიანობის გასაშუქებლად ეფექტურად იყენებს სოციალური მედიის სივრცეს. უცნობია ორგანიზაციის წევრთა ზუსტი რაოდენობა. დასახელებული იყო დაახლოებით 10000-15000 ადამიანი, თუმცა, სავარაუდოდ, ამ ეტაპზე მათი რაოდენობა კვლავაც იზრდება.

თავად ალ-ბაღდადის შესახებ ამ დრომდე ცოტა რამ იყო ცნობილი. გავრცელებული ინფორმაციით, მას აქვს ბაღდადის უნივერსიტეტის დოქტორის ხარისხი და 2003 წლამდე ეწეოდა საღმრთისმსახურო პრაქტიკას, რის შემდეგაც შეუერთდა ამ-

ბოხებულთა მოძრაობას. 2006 წელს ამერიკელებმა დააპატიმრეს და სასჯელს იხდიდა წამების სკანდალით ცნობილ ბუქას ციხეში, ერაყში, საიდანაც 2009 წელს გაათავისუფლეს. როგორც აღინიშნება, ზუსტად ციხეში სხვა ამბოხებულებთან ურთიერთობისას მოხდა მისი უკიდურესი რადიკალიზაცია. საჯაროდ ცნობილი იყო მისი მხოლოდ ორი ფოტოსურათი.

მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ ერაყში ხელისუფლების წინააღმდეგ ამბოხებაში მხოლოდ ეს ერთი დაჯგუფება არ იღებს მონაწილეობას. მათი გარკვეული ნაწილი, თავის მხრივ, დაპირისპირებულია ერაყისა და შამის ისლამურ სახელმწიფოსთან, ე.წ. სახალიფოსთან. როგორც წესი, მსხვილი ჯგუფები, მაგ.: ჯამაათ ანსარ ალ-ისლამი, ნაქშბანდის წესის დამცველთა არმია, ერაყის ისლამური არმია და სხვ., უპირისპირდებიან ალ-ბაღდადის დაჯგუფებას და შიიტური ხელისუფლების დამარცხების საქმეში საკუთარ წვლილს აღნიშნავენ, თუმცა მათი დაჯგუფებებიდან გარკვეული ნაწილი უკვე შეუერთდა „სახალიფოს“. ასევე ალ-ბაღდადის მორჩილება გამოუცხადეს მცირერიცხოვანმა სუნიტურმა დაჯგუფებებმა.

ამის გარდა, სირიელმა ამბოხებულებმა განაცხადეს, რომ ვეღარ ახერხებენ წინააღმდეგობა გაუწიონ „სახალიფოს“ შემოტევას და, სავარაუდოდ, დანებება მოუწევთ.

საფრთხეები და გამოწვევები

უმთავრეს საფრთხედ უნდა განვიხილოთ შიიტებისა და სუნიტების უფრო ფართომასშტაბიანი დაპირისპირება, რასაც აღმოსავლეთმცოდნეები არ გამორიცხავენ. ოფიციალური თეირანი ირიბად უკვე მონაწილეობს არსებულ დაპირისპირებაში. ის ცდილობს შეაიარაღოს ერაყის შიიტური მთავრობა, მათ შორის – სამხედრო თითმფრინავებით და ინსტრუქტორებითაც. გავრცელდა ირანის ლიდერთა განცხადებაც, რომ ირანი დაიცავს ერაყში არსებულ შიიტურ სინმინდეებს. მიუხედავად იმისა, რომ ერაყის სულიერმა ლიდერმა, აიათოლა ალ სისტანიმ, მოუწოდა ერაყის ყველა მცხოვრებს შეებრძოლოს ამბოხებულებს, ეს მაინც გაიგეს, როგორც მონოღება შიიტების მიმართ, გაიბრძოლონ სუნიტების წინააღმდეგ. მართალია, ოფიციალურად არაბული სახელმწიფოები არ ემხრობიან სუნიტ ამბოხებულებს და, მეტიც, იორდანია არსებულ ვითარებას განიხილავს უშუალოდ საკუთარი სახელმწიფოს წინაშე არსებულ საფრთხედ, რადგან იორდანია სახელდება ამბოხებულთა

შემდგომ სამიზნედ, ბევრს საუბრობენ საუდის არაბეთის დაინტერესებაზე, როგორც ირანის ისტორიული მოპაექრისა რეგიონში.

სახალიფოს გამოცხადება სერიოზულ გამოწვევად უნდა მივიჩნიოთ რეგიონის უსაფრთხოებისათვის, რადგან ეს ცხადყოფს, რომ ორგანიზაციის მიზნები მნიშვნელოვნად სცილდება ერაყისა და სიირიის საზღვრებს. ბევრი რამ იქნება დამოკიდებული იმაზე, თუ როგორ შეძლებს ერაყი დასავლელ პარტნიორებთან ერთად, პირველ რიგში კი, რა თქმა უნდა, აშშ-სთან ერთად, უპასუხოს ამბოხებულებს, რადგან ყოველი ახალი დღე მნიშვნელოვნად აძლიერებს ორგანიზაციას, როგორც მატერიალურად, ისე ადამიანური რესურსით. მხოლოდ ეფექტურ და სწრაფ საპასუხო მოქმედებებს შეუძლია ე.წ. სახალიფოს ჩამოყალიბების იდეის დევალვაცია, რაც საკმაოდ მომხიბვლელად ჩანს რადიკალურად განწყობილ მუსლიმებში.

თავის მხრივ, უკვე შეიძლება ითქვას, რომ იმ შემთხვევაშიც კი, თუ მოხერხდება ხსენებული ჯგუფის იძულება, დაუბრუნდეს ე.წ. იატაკქვეშეთს, კონფლიქტი მაინც საკმაოდ ხანგრძლივმოქმედ პროცესად უნდა დავინახოთ, რომელიც, სავარაუდოდ, გაგრძელდება მრავალრიცხოვანი ტერორისტული აქტების თანხლებით, მათ შორის, მისი ახლანდელი გეორაფიიდან საკმაოდ მოშორებითაც. ცნობილია, რომ ამბოხებულებში მრავლად არიან დასავლური წარმოშობის რადიკალიზებული მუსლიმები. არ გამორიცხავენ, რომ მათი ნაწილი მაინც ეცდება კონფლიქტის დასრულების შემდეგ ან თუნდაც მისი მიმდინარეობის გარკვეულ ეტაპზე დაბრუნდეს სამშობლოში და იქ გააგრძელოს საკუთარი საქმიანობა, რაც, ბუნებრივია, ფასდება, როგორც საფრთხე დასავლური სახელმწიფოებისათვის.

რა თქმა უნდა, საფრთხის შემცველია ის ფაქტიც, რომ პროცესს საკმაოდ გრძელვადიან პერსპექტივაში ხედავს თავად ამბოხებულთა ორგანიზაციაც. შემოფოთებას იწვევს კადრები, სადაც აჩვენებენ, თუ იდეოლოგიურად როგორ ამზადებენ 10-12 წლის ბავშვებს ბრძოლისთვის. მათ ნაწილს, როგორც ჩანს, ზრდიან მოძრაობის მომავალ ლიდერებად, რომლებმაც კარგად უნდა იცოდნენ ამბოხებულთა რელიგიურ საფუძვლებზე დაყრდნობილი იდეოლოგია, ხოლო მეორე უფრო დიდ ნაწილს, სავარაუდოდ, ზრდიან მებრძოლებად და შესაძლოა ე.წ. ცოცხალ ბომბებადაც კი, რადგან კადრებში მათი სახე დაფარულია. შესაბამისად, სავარაუდოა, რომ პირველ ნაწილში არის ის მომავალი თაობა, რომელიც დაახლოებით

10-15 წლის შემდეგ ჩაუდგება სათავეში არსებულ მოძრაობას და რომელიც ალბათ იქნება მეტად რადიკალური და ბრუტალურიც, ხოლო მეორე ნაწილი საკუთარ თავში ატარებს ასევე მნიშვნელოვან გამოწვევას მთელი დასავლური კულტურული ცნობიერებისათვის. მათი სახით, ბუნებრივია, დასავლური არმიის მეზობელი იქნება მუდმივი ფსიქოლოგიური წნეხის ქვეშ, რადგან მოუწევს მცირეწლოვანი თვითმკვლელი ტერორისტების წინააღმდეგ ბრძოლა. ამ კონტექსტში ამბოხებულები ფლობენ საკმაოდ მნიშვნელოვან ფსიქოლოგიურ უპირატესობას.

სერიოზულ გამოწვევად რჩება კონსენსუსის აუცილებლობა ერაყის შიგნით. ექსპერტთა დიდი ნაწილი მიიჩნევს, რომ ხსენებული კრიზისის შედეგად სავარაუდოდ მოხდება ერაყის გაყოფა სამ – შიიტურ, სუნიტურ და ქურთულ – ნაწილად. ბუნებრივია, ქურთები მაქსიმალურად ეცდებიან დამოუკიდებელი სახელმწიფოს შექმნის არსებული შესაძლებლობა ხელიდან არ გაუშვან. მათ მოახერხეს დაეცვათ საკუთარი ავტონომია „ისლამური სახელმწიფოს“ აგრესიისაგან. ასევე დაამყარეს კონტროლი სადავო ქალაქ კირკუკზე, რომელიც ავტონომიის მოსაზღვრედ მდებარეობს. აქვე აღსანიშნავია, რომ მათი დამოუკიდებლობა არ შედის არც ერთი მოსაზღვრე სახელმწიფოს ინტერესებში, რადგან ქურთები, როგორც ცნობილია, სახლობენ რეგიონის ოთხი სახელმწიფოს – ირანი, ერაყი, თურქეთი და სირია – მეზობელ რეგიონებში და შესაბამისად, ამან შეიძლება ყველა ზემოხსენებულ სახელმწიფოში გამოიწვიოს მსგავსი მოძრაობის გააქტიურება.

გამოწვევას წარმოადგენს ასევე ფართო გაგებით კოალიცია. არსებული კრიზისის დაძლევა და ამბოხებულთა დამარცხება ისტორიულად კონკურენტი სახელმწიფოების ინტერესებში შედის. თითქოს გაჩნდა ირანს, აშშ-ს, თურქეთს და იორდანias შორის გარკვეული კოოპერაციის შესაძლებლობა და, მეტიც, გარკვეულ განლაგებაში შეიძლება ისრაელიც წარმოვიდგინოთ, რომელმაც განაცხადა, რომ მზად არის დახმარება აღმოუჩინოს იორდანias, რომელთანაც აქვს სამშვიდობო ხელშეკრულება, იმ შემთხვევაში, თუ ეს უკანასკნელი ამგვარი თხოვნით მიმართავს და თუ იორდანias სახელმწიფოებრიობას მნიშვნელოვანი საფრთხე შეექმნება.

მიმდინარე კრიზისი აძლიერებს რეგიონში რუსეთის პოზიციებს. მან უკვე მიყიდა ერაყის მთავრობას სამხედრო თვითმფრინავები და, შესაბამისად, უზრუნველყოფს ერაყს ავიაციის ინსტრუქტორებით. ამგვარად ის ცდილობს ისარგებლოს დასავლეთის

შეყოვნებული რეაქციით და გარკვეული ნიშა დაიკავოს ახლო აღმოსავლეთში. რუსეთი ასევე ეცდება, სულ მცირე, გააძლიეროს საკუთარი პოზიციები კავკასიაში, რაც, ბუნებრივია, საფრთხის შემცველი იქნება საქართველოსთვისაც. სავარაუდოა, რომ კრიზისის შემდგომი გაღრმავებისა და გახანგრძლივების შემთხვევაში, რუსეთი შეეცდება გამოიყენოს ის კავკასიის რეგიონში საკუთარი სამხედრო წარმომადგენლობის გასაძლიერებლად და, შესაძლოა, ახალი პოზიციების დასაკავებლადაც.

რუსეთისათვის ასევე მიუღებელია ირანისა და დასავლეთის რეალური დაახლოება, რადგან ირანი განიხილება რუსეთის ენერგომატარებლების ერთ-ერთ სერიოზულ ალტერნატივად. ერაყის კრიზისი ასევე აფერხებს ამ რეგიონის ენერგორესურსების სტაბილურ მიწოდებას მომხმარებელთათვის, განსაკუთრებით – დასავლეთისათვის, რაც, თავის მხრივ, შედის როგორც რუსეთის, ისე სპარსეთის ყურის არაბული სახელმწიფოების ინტერესებში. მეორე მხრივ, იმ შემთხვევაში, თუ დასავლეთი მოახერხებს ირანთან ურთიერთობის მონესრიგებას, რისი ერთ-ერთი მოტივატორიც, როგორც უკვე ვთქვით, შესაძლოა ეს კრიზისიც აღმოჩნდეს, რუსეთი უფრო მეტად შეეცდება კავკასიური ენერგოტრანზიტის კონტროლის ხელში ჩაგდებას. რუსეთისათვის ასევე მნიშვნელოვანია ამ ეტაპზე სირიის ხელისუფლებაში მის მიმართ ლოიალურად განწყობილი ბაშარ ასადის შენარჩუნება, რაც შეიძლება ერაყის კონფლიქტმა გარკვეული დროით უზრუნველყოს.

ჩვენი რეგიონისათვის საფრთხის შემცველად უნდა განვიხილოთ ერაყსა და სირიაში საბრძოლველად წასულ პირთა საკუთარ სამშობლოში დაბრუნება. გასათვალისწინებელია, რომ მათ შორის საქართველოდან, პანკისის რეგიონიდან, რამდენიმე ათეული ადამიანი იბრძვის სხვადასხვა რადიკალურ ისლამურ დაჯგუფებაში. მათი დაბრუნების შემდეგ სახელმწიფოს საზრუნავი იქნება, სულ მცირე, მათი რეაბილიტაცია და რესოციალიზაცია, რომ აღარაფერი ვთქვათ გარკვეულ შემთხვევებში სამართლებრივ დევნასა და მათგან მოსალოდნელ მემბოხე დამოკიდებულებაზე საქართველოს სახელმწიფოს მიმართ. ბუნებრივია, ჩრდილოკავკასიელ მებრძოლთა დაბრუნება სამშობლოში მნიშვნელოვნად გააძლიერებს ამბოხებულთა რიგებს, რაც გაამწვავებს კავკასიონის ჩრდილოეთით არსებულ მეტ-ნაკლებად მინელებულ კონფლიქტს, რომელიც, როგორც არაერთხელ აღნიშნეს ექსპერტებმაც, სამხრეთ კავკასიისათვის საკმაო საფრთხეს შეიცავს.

საბოლოოდ უნდა ითქვას, რომ ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, მნიშვნელოვანია ის, თუ რა ვადებში მოხერხდება ადეკვატური პასუხის გაცემა ხსენებულ გამონვევებზე. მნიშვნელოვან ხელშემწყობ კომპონენტად უნდა განვიხილოთ თავად სუნიტ ამბოხებულებს შორის არსებული დაპირისპირება ერაყის შიგნით. ბუნებრივია, შეუძლებელი იქნება რომელიმეს მხარდაჭერა, მაგრამ აუცილებელია ალ-ყაიდასა და „სახალიფოს“ შორის არსებული დაპირისპირების გამოყენება. თუ მიეცა შესაძლებლობა ალ-ბაღდადის მებრძოლებს საკუთარი წარმატება გაახანგრძლივონ, ეს განაპირობებს ალ-ყაიდასთან აფილირებული ჯგუფების მათკენ მიმხრობას და პირიქით. სამწუხაროა, რომ თავად ერაყის შიგნით სახალიფოს მოწინააღმდეგეებიც ვერ ახერხებენ კონსოლიდირებას და მეტიც, პირიქით, სულ უფრო მეტად იზრდება მათ შორის არსებული დაპირისპირება. ამ პროცესში კვლავინდებურად უმნიშვნელოვანესია დასავლეთის სწრაფი და ადეკვატური პასუხი, თუმცა აღსანიშნავია, რომ ამჯერად მათ მოუწევთ მრავალი ფაქტორის გათვალისწინება, ერთ-ერთი კი ის არის, რომ ადგილობრივ მოსახლეობას არ სურს გარე ძალის ხილვა, თუნდაც მათ მხარდამჭერად.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ კრიზისი დღეისათვის სულ უფრო ღრმავდება. „ისლამური სახელმწიფო“ საკუთარ პოზიციებს აძლიერებს თავისივე კონტროლირებად ტერიტორიაზე, რომელსაც თავის მხრივ აფართოებს და მისი ავტორიტეტიც უფრო იზრდება. მეორე მხრივ, სულ უფრო მეტი აქტორი არის მზად ჩაერთოს კრიზისში ამბოხებულთა დასამხობად. ამდენად, კონფლიქტს ჯერ არ მიუღწევია გარდატეხის ფაზისათვის. ამ ეტაპზე რთულია იმის თქმა, თუ როდის და როგორ უნდა ველოდოთ გარკვეული პოზიტივის ნიშნებს ერაყის კრიზისში. პროცესი კვლავაც რჩება აქტიური დაკვირვებისა და შესწავლის ობიექტად. ერთი რამ უდავოდ ცხადია, მიუხედავად იმისა, თუ როგორი იქნება ფორმალურ ინსტიტუციათა პასუხი ამბოხებულთა მოქმედებებზე, კიდევ დიდხანს მოგვიწევს ამბოხებული ახლო აღმოსავლეთის ყურება.

გამოყენებული ლიტერატურა

რევავ გაჩეჩილაძე - ამერიკა ერთადერთი სახელმწიფოა, რომლის ინტერესს წარმოადგენს ყველაფერი, რაც მსოფლიოს ნებისმიერ კუთხეში ხდება - ინტერვიუ ინტერპრესნიუსთან

www.interpressnews.ge/ge/interviu/287493-revaz-gachechiladze-amerika-erthaderthisakhelmtsifoa-romlis-interest-tsarmoadgens-yvelaferi-rac-msoflios-nebismier-kuthkheshi-khdeba.html

Бесконечность арабских революций Алексей Малашенко:

www.carnegie.ru/2014/07/04/бесконечность-арабских-революций/hf6f

Боевики ИГИЛ заявили о создании халифата в Сирии и Ираке

www.bbc.co.uk/russian/international/2014/06/140630_isis_iraq_islamic_state.shtml

Госсекретарь США Керри обещает помочь властям Ирака

www.bbc.co.uk/russian/international/2014/06/140623_iraq_kerry_visit.shtml

Интересы России в Сирии Дмитрий Тренин

www.carnegie.ru/2014/06/09/интересы-россии-в-сирии/hdt4

Ирак: Малики намерен включить в правительство суннитов

www.bbc.co.uk/russian/rolling_news/2014/06/140627_rn_iraq_government_isis.shtml

Ирак: Малики не намерен создавать правительство единства

www.bbc.co.uk/russian/international/2014/06/140625_iraq_maliki_government_rejects.shtml

Иракский премьер Малики намерен идти на третий срок

www.bbc.co.uk/russian/international/2014/07/140704_iraq_maliki_elections.shtml

Иран поставил Ираку штурмовики СУ-25? Джонатан Маркус

www.bbc.co.uk/russian/international/2014/07/140702_iran_iraq_su25.shtml

Малики: Ирак предпочел российские самолеты американским

www.bbc.co.uk/russian/international/2014/06/140626_iraq_maliki_russian_planes.shtml

Началась третья иракская война

www.inopressa.ru/article/12Jun2014/foreignpolicy/iraq1.html

США и Иран готовы к переговорам по Ираку

www.bbc.co.uk/russian/international/2014/06/140616_us_iran_iraq_talks.shtml

Al-Maliki hints at another try for Iraqi PM By Chelsea J. Carter and Mohammed Tawfeeq, CNN

www.edition.cnn.com/2014/07/04/world/meast/iraq-crisis/index.html?hpt=imi_c2

America Can't Fix the Middle East, but It Can Fix Its Middle East Policy David Rothkopf

www.carnegieendowment.org/2014/06/23/america-can-t-fix-middle-east-but-it-can-fix-its-middle-east-policy/hee4

Anger boils over in the ‘Fallujah of Jordan’

www.aljazeera.com/news/middleeast/2014/07/anger-boils-over-fallujah-jordan-20147575130478577.html

Beware the Salesmen of Simple Solutions on Iraq Moisés Naím

www.carnegieendowment.org/2014/06/24/beware-salesmen-of-simple-solutions-on-iraq/heel

EU-Iran Relations: A Strategic Assessment Cornelius Adebahr

www.carnegieendowment.org/2014/06/23/eu-iran-relations-strategic-assessment/hea1

Floodgates open as ISIS takes over swath of Syrian-Iraqi border By Holly Yan and Samira Said, CNN

www.edition.cnn.com/2014/07/08/world/meast/syria-civil-war/index.html?hpt=imi_c2

How ISIS is overshadowing al Qaeda By Tim Lister, CNN

www.edition.cnn.com/2014/06/30/world/meast/isis-overshadows-al-qaeda/index.html?iid=article_sidebar

Iraq crisis: Kerry urges unity to expel Isis rebels

www.bbc.com/news/world-middle-east-27991414

Iraq crisis: Key players in Sunni rebellion

www.bbc.com/news/world-middle-east-28053496

Iraq militant groups ordered to swear Isis allegiance By Jim Muir

www.bbc.com/news/world-middle-east-28123258

Iraq Parliament to Start Talks on New Government

www.online.wsj.com/articles/iraq-parliament-to-elect-new-government-1403794106

Iraq to split in three: So why not? By Tim Lister, CNN

www.edition.cnn.com/2014/07/07/world/meast/iraq-division-lister/index.html?hpt=hp_c1

Iraq’s parliament fails to agree on formation of new government By Liz Sly and Loveday Morris

www.washingtonpost.com/world/iraqs-new-parliament-convenes-inaugural-session/2014/07/01/08f99008-6035-4fe6-89d0-f7bc6e9adf2d_story.html

ISIL: Rising power in Iraq and Syria Graeme Baker

www.aljazeera.com/news/middleeast/2014/06/isil-eminant-threat-iraq-syria-20146101543970327.html

ISIS caliphate declaration of war against Al-Qaeda Written by : Asharq Al-Awsat

www.aawsat.net/2014/07/article55333843

Kerry assures Iraqis of U.S. support if they unite against militants

www.edition.cnn.com/2014/06/23/world/meast/iraq-crisis/index.html?hpt=imi_c1

More Than ISIS, Iraq's Sunni Insurgency Hassan Hassan
www.carnegieendowment.org/sada/2014/06/17/more-than-isis-iraq-s-sunni-insurgency/hdvi

Muslim leaders reject Baghdadi's caliphate Shafik Mandhai
www.aljazeera.com/news/middleeast/2014/07/muslim-leaders-reject-baghdadi-caliphate-20147744058773906.html

Negotiating the Turkish Hostage Situation in Iraq Bayram Balci
www.carnegieendowment.org/2014/06/23/negotiating-turkish-hostage-situation-in-iraq/hea4

Press Availability on Syria and Iraq
www.state.gov/secretary/remarks/2014/06/228327.htm

Saudi Arabia: Sandwiched by jihadists in Iraq and Yemen By Frank Gardner
www.bbc.com/news/world-middle-east-28133086

Six things that went wrong for Iraq By Jonathan Marcus
www.bbc.com/news/world-middle-east-27802746

The fierce ambition of ISIL's Baghdadi Graeme Baker
www.aljazeera.com/news/middleeast/2014/06/fierce-ambition-isis-baghdadi-2014612142242188464.html

The Rise of ISIS, a Golden Opportunity for Iraq's Kurds Sirwan Kajjo
www.carnegieendowment.org/sada/2014/06/19/rise-of-isis-golden-opportunity-for-iraq-s-kurds/he37

U.S. Foreign Policy on Syria and Iraq: Between Words and Actions Lina Khatib
www.carnegie-mec.org/2014/06/29/u.s.-foreign-policy-on-syria-and-iraq-between-words-and-actions/heso

Viewpoint: Isis caliphate a dangerous development By Charlie Cooper
www.bbc.com/news/world-middle-east-28090386

Viewpoint: ISIS goals and possible future gains
www.bbc.com/news/world-middle-east-27801680?print=true

Why the Middle East's borders will never be the same again By Scott Anderson, war reporter, special to CNN
www.edition.cnn.com/2014/06/20/opinion/middle-east-borders-redrawn/index.html?hpt=imi_r1

Will al Qaeda fight ISIS Islamic state? By Jonathan Russell, Special to CNN
www.edition.cnn.com/2014/07/02/opinion/isis-quilliam-opinion/index.html?hpt=imi_c2